

აქციის დანართი #---

ქ. ბათუმი

29-12-2017 წ.

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ვადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

• აქციის დასახელება : " დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილი) ინსტალაციის აქცია "

• აქციის პირობები:

1. "დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილის) აქციის" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, ქ. ბათუმში, "სილქნეტის" ოპტიკური სილქ ტვ-ის აბონენტები, ასევე ოპტიკური სილქ ტვ-ის მიღების მსურველი ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან აღნიშნულ მომსახურებაზე, შეძლებენ, სილქ ტვ მომსახურებაზე დაიმატონ **დამატებითი სააბონენტო წერტილი /ები** (დამატებითი STB), დამატებითი სააბონენტო წერტილის (დამატებითი STB) ინსტალაციისთვის დადგენილი სტანდარტული ღირებულების გადახდის გარეშე.
2. აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ აბონენტებზე:
 - 2.1. ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტები;
 - 2.2. ოპტიკური მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებას) მიმღები აბონენტები;
 - 2.3. პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებაზე;
 - 2.4. პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე/სპეციალურ შეთავაზებაზე (რომელიც მოიცავს ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებას).
3. აქციის პირობით **რეგისტრაციისა და აქციის ფარგლებში რეგისტრირებული მომსახურების ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
4. აქციის ფარგლებში, დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილის) ინსტალაციის ღირებულება გათვალისწინებული იქნება დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილის) სააბონენტო გადასახადის ფარგლებში.
5. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დაარეგისტრირებს დამატებით STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილს), აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით.
6. იმისათვის რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.
7. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი რეგისტრირდება დამატებით STB-ზე (დამატებითი სააბონენტო წერტილზე), აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით.
8. იმისათვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე აბონენტმა ისარგებლოს აქციით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____